

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა  
და სოციალური დაცვის მინისტრის  
ბრძანება N 122/ნ

2009 წლის 27 მარტი ქ. თბილისი

საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი თამბაქოს  
ნაწარმის შემცველების ზღვრულად დასაშვები ნორმების, მათი  
გაზომვისა და რეგულირების წესების და თამბაქოს ნაწარმის  
რეალიზაციის ადგილებში, რეკლამაზე, ბლოკებსა და  
კოლოფებზე მისათითებელი სამედიცინო გაფრთხილებების  
დამტკიცების შესახებ

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-8 პუნქტის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის შესაბამისად,  
**ვბრძანებ:** (2.12.2011 N 01-57/ნ)

1. დამტკიცდეს “საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმის შემცველების ზღვრულად დასაშვები ნორმები, მათი გაზომვისა და რეგულირების წესების და თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის ადგილებში, რეკლამაზე, ბლოკებსა და კოლოფებზე მისათითებელი სამედიცინო გაფრთხილებები” (დანართი N1).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) “თამბაქოს პროდუქციის კოლოფზე მისათითებელი სამედიცინო გაფრთხილების განსაზღვრის შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 3 ნოემბრის N294/ნ ბრძანება;

ბ) “თამბაქოს ნაწარმში და მის კვამლში ტოქსიკური ნაერთების, ნიკოტინისა და ფისის შემცველობის ზღვრულად დასაშვები დონეების დამტკიცების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N310/ნ ბრძანება;

გ) “თამბაქოს პროდუქციის რეალიზაციის ადგილებში სამედიცინო გაფრთხილების დამტკიცების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 5 ივლისის N206/ნ ბრძანება.

3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტის “ა” და “ბ” ქვეპუნქტები ამოქმედდეს 2010 წლის პირველი იანვრიდან.

4. ამ ბრძანების მე-2 პუნქტის “გ” ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2009 წლის პირველი მაისიდან.

5. ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი N1 ამოქმედდეს შემდეგ ვადებში:

ა) პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 მუხლები ამოქმედდეს 2009 წლის 25 მაისიდან;

ბ) მე-3, მე-6, მე-7 და მე-8 მუხლები ამოქმედდეს 2010 წლის პირველი იანვრიდან;

გ) მე-9 მუხლი ამოქმედდეს 2009 წლის პირველი მაისიდან.

დ) საქართველოში რეალიზაციისათვის განკუთვნილი თამბაქოს პროდუქციაზე არსებული საკონტაქტო ტელეფონის ნომერი 8066 შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ამ ბრძანებით დადგენილ საკონტაქტო ტელეფონის ნომერთან 116001 არა უგვიანეს 2013 წლის 1 იანვრისა. (2.12.2011 N 01-57/6)

6. ბრძანება, გარდა მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული ქვეპუნქტებისა და მე-5 პუნქტით განსაზღვრული მუხლებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*ა. კვიტაშვილი*

დანართი N1

**საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმის შემცველების ზღვრულად დასაშვები ნორმები, მათი გაზომვისა და რეგულირების წესების და თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის ადგილებში, რეკლამაზე, ბლოკებსა და კოლოფებზე მისათითებელი სამედიცინო გაფრთხილებები**

### **მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

ბრძანების მოქმედება ვრცელდება იმ პირებზე, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია თამბაქოს ნაწარმის წარმოებასთან, რეალიზაციასა და/ან იმპორტთან, ასევე ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ეწევიან სარეკლამო საქმიანობას.

### **მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები**

ამ აქტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) თამბაქოს ნაწარმი – თამბაქოს ან მისი ელემენტების შემცველი ნებისმიერი ნაწარმი, გარდა ნიკოტინის შემცველი სამკურნალო საშუალებებისა, რომელიც განკუთვნილია მოსაწევად, საღებავად ან შესასუნთქად, მათ შორის:

ა.ა) ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტები;

ა.ბ) პაპიროსები, სიგარები და სიგარილები;

ა.გ) საჩიბუხე თამბაქო;

ა.დ) შესახვევი თუთუნი;

ა.ე) საღებავი და შესასუნთქი თამბაქო;

ბ) არმოსაწევი თამბაქო – თამბაქოს ნაწარმი, რომელიც არ არის განკუთვნილი მოსაწევად, კერძოდ, საღებავი, საწუწნი ან შესასუნთქი თამბაქო;

გ) თამბაქოს მოწევა – თამბაქოს ნაწარმის წვის შედეგად გამოყოფილი კვამლის შესუნთქვა;

დ) სამედიცინო გაფრთხილება – თამბაქოს მოწევის მავნებლობის შესახებ გამაფრთხილებელი წარწერა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს პიქტოგრამას;

ე) თამბაქოს ნაწარმის შემცველები – თამბაქოს ნაწარმის კვამლში შემავალი ნიკოტინი, კუპრი და მხუთავი აირი;

ვ) ნიკოტინი – ნიკოტინის ალკალოიდები;

ზ) კუპრი – თამბაქოს კვამლის ნედლი, გაუწყლოებული და ნიკოტინგამოცლილი კონდენსანტი;

თ) მხუთავი აირი – ნახშირბადის მონოქსიდი (CO);

ი) როტაცია – სამედიცინო გაფრთხილების მონაცვლეობა.

**მუხლი 3. თამბაქოს ნაწარმის (გარდა არმოსაწევი თამბაქოს, სიგარეტისა და სიგარილებისა) კვამლში ნიკოტინის, კუპრის და მხუთავი აირის შემცველობის ზღვრულად დასაშვები ნორმები, მათი გაზომვისა და რეგულირების წესი**

1. საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმის (გარდა არმოსაწევი თამბაქოს, სიგარეტისა და სიგარილებისა) კვამლში ნიკოტინის, კუპრის და მხუთავი აირის კონცენტრაცია უნდა იყოს არა უმეტეს:

ა). კუპრისათვის – 10 მგ-ს ერთ ღერზე;

ბ) ნიკოტინისათვის – 1 მგ-ს ერთ ღერზე;

გ) მხუთავი აირის - 10 მგ-ს ერთ ღერზე.

2. თამბაქოს ნაწარმის (გარდა არმოსაწევი თამბაქოსა) კვამლში კუპრის ნიკოტინისა და მხუთავი აირის კონცენტრაცია უნდა განისაზღვროს:

ა) ნიკოტინი სსო (ISO) -10315-ით;

ბ) კუპრი სსო (ISO)-4387-ით;

გ) მხუთავი აირის სსო (ISO) -8454-ით;

დ) შეფუთვაზე განთავსებისთვის კუპრის, ნიკოტინის და მხუთავი აირის კონცენტრაციების სიზუსტე ვერიფიცირებულ უნდა იქნეს სსო (ISO)\_8243 სტანდარტით

3. მწარმოებელმა ან/და იმპორტიორმა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, მოთხოვნის შემთხვევაში, არაუმეტეს წელიწადში ერთხელ – უნდა წარმოუდგინოს აკრედიტებული ლაბორატორიის მიერ შესაბამის თამბაქოს ნაწარმზე გაცემული თამბაქოს ნაწარმის შემცველების კონცენტრაციის, ამ ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი სსო (ISO) სტანდარტებით, განსაზღვრის დამადასტურებელი დასვნა (დასკვნები).

4. „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების შესაბამისად, თამბაქოს ნაწარმის თითოეულ კოლოფსა და ბლოკზე უნდა განთავსდეს ინფორმაცია მისი შემცველების კონცენტრაციის შესახებ,

რომელიც შეესაბამება ამ ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი სსო (ISO) სტანდარტებით განსაზღვრის შედეგებს. (2.12.2011 N 01-57/6)

**მუხლი 4. საქართველოში თამბაქოს ნაწარმის რეკლამაზე (გარდა რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით) განსათავსებელი სამედიცინო გაფრთხილებები**

1. თამბაქოს ნაწარმის რეკლამაზე (გარდა რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით) განთავსებულ უნდა იქნეს შემდეგი სახის ძირითადი სამედიცინო გაფრთხილება: „მოწვევა კლავს“.

2. თამბაქოს ნაწარმის რეკლამაზე (გარდა რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით) განთავსებულ იქნეს შემდეგი დამატებითი სამედიცინო გაფრთხილებები:

- ა) „მოწვევა იწვევს ფილტვის კიბოს“;
- ბ) “მოწვევამ შესაძლოა შეასუსტოს სისხლის ნაკადი და გამოიწვიოს იმპოტენცია”;
- გ) “მოწვევა იწვევს კანის ნაადრევ დაბერებას”.

3. თამბაქოს ნაწარმის რეკლამაზე (გარდა რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით) განთავსებულ უნდა იქნეს ამ მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული ძირითადი გაფრთხილება და მე-2 პუნქტით დამტკიცებული დამატებითი გაფრთხილებებიდან ერთ-ერთი.

**მუხლი 5. საქართველოში თამბაქოს ნაწარმის რეკლამაზე სამედიცინო გაფრთხილებების განთავსების ტექნიკური პარამეტრები:**

1. თამბაქოს ნაწარმის რეკლამაზე განთავსებისათვის სამედიცინო გაფრთხილების წარწერა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ტექნიკურ პარამეტრებს:

ა) ძირითადი გაფრთხილება განთავსებულ უნდა იქნეს გაფრთხილებისთვის გამოყოფილი ფართის პირველ ხაზზე, ხოლო დამატებითი გაფრთხილება – მომდევნო ხაზ(ებ)ზე, ამასთან დამატებითი გაფრთხილება უნდა იყოს გამოყოფილი ძირითადი გაფრთხილებისაგან.

ბ) შესრულებულ უნდა იქნეს თეთრ ფონზე შავი ასოებით, ან შავ ფონზე თეთრი ასოებით, ტექსტის შრიფტად გამოყენებულ იქნეს სილფაენ (Sylfaen) და იყოს გამუქებული.

გ) ფონტი უნდა იყოს იმ მაქსიმალური ზომის, რათა წარწერამ სრულად დაიკავოს მისთვის გამოყოფილი ფართი, ამასთან, წარწერა არ უნდა ეხებოდეს ფართის კიდეებს;

დ) განლაგება ცენტრალური სწორებით;

ე) ინტერვალები და ხაზებს შორის დამორება უნდა იყოს სტანდარტული;

**მუხლი 6. საქართველოში რეალიზაციისათვის განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმის კოლოფებსა და ბლოკებზე განსათავსებელი ძირითადი და დამატებითი სამედიცინო გაფრთხილებები:**

1. საქართველოში (გარდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა) რეალიზაციისათვის განკუთვნილ თამბაქოს ნაწარმის კოლოფებსა და ბლოკებზე განთავსებულ იქნეს შემდეგი სახის ძირითადი სამედიცინო გაფრთხილებები:

ა) მოწვევა კლავს;

ბ) მწველები კვდიებიან ადრე;

გ) მოწვევა სერიოზულ ზიანს გაყენებთ თქვენ და თქვენს ირგვლივ მყოფთ.

2. საქართველოში (გარდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა) რეალიზაციისათვის განკუთვნილ თამბაქოს ნაწარმის კოლოფებსა და ბლოკებზე განთავსებულ იქნეს შემდეგი სახის დამატებითი სამედიცინო გაფრთხილებები:

ა) მოწვევა იწვევს ფილტვის კიბოს;

ბ) მოწვევა ავიწროვებს სისხლძარღვებს, იწვევს გულის შეტევებს და ინსულტს;

გ) მოწვევა ორსულობის დროს აზიანებს თქვენს ნაყოფს;

დ) მოწვევა იწვევს თამბაქოსადმი ძლიერი დამოკიდებულების განვითარებას.

არ დაიწყეთ მოწვევა;

ე) მოწვევამ შესაძლოა შეასუსტოს სისხლის ნაკადი და გამოიწვიოს იმპოტენცია;

ვ) მოწვევა მოქმედებს სპერმაზე და შესაძლოა გამოიწვიოს უშვილობა;

ზ) დაიცავით ბავშვები; ნუ აიძულებთ მათ ისუნთქონ თამბაქოს კვამლი;

თ) მოწვევამ შეიძლება გამოიწვიოს ნელი და მტანჯველი სიკვდილი;

ი) მოწვევა იწვევს კანის ნაადრევ დაბერებას.

3. საქართველოში (გარდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა) რეალიზაციისათვის განკუთვნილ თამბაქოს ნაწარმის კოლოფებსა და ბლოკებზე დამატებით სამედიცინო გაფრთხილებებთან ერთად განთავსებულ იქნეს შემდეგი საკონტაქტო ტელეფონის ნომერი შესაბამისი წარწერით: (2.12.2011 N 01-57/6)

„მოწვევის შეწყვეტისთვის დარეკეთ: 116001, ზარი უფასო“.

4. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეალიზაციისათვის განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმის კოლოფებსა და ბლოკებზე ამ მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად ქართულ ენაზე შესრულებულ ძირითად და დამატებით სამედიცინო გაფრთხილებებთან, საკონტაქტო ტელეფონის ნომერსა და თანდართულ ტექსტთან ერთად, განთავსებულ უნდა იქნეს აფხაზურ ენაზე შესრულებული, ამ ბრძანებით დადგენილი, შესაბამისი ძირითადი და დამატებითი სამედიცინო გაფრთხილებები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრის თანდართული ტექსტი (დანართი 3).

5. საქართველოში (გარდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა) რეალიზაციისათვის განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმის კოლოფებსა და ბლოკებზე დამატებით გაფრთხილებებთან ერთად, ნებაყოფლობითი წესით, შესაძლოა განთავსებულ იქნეს ამ ბრძანების დანართი 4-ით წარმოდგენილი, ხოლო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისათვის დანართი 5-ით წარმოდგენილი შესაბამისი პიქტოგრამები.

6. თამბაქოს მწარმოებლებმა ან/და იმპორტიორებმა უნდა უზრუნველყონ ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტებით დადგენილი ძირითადი და დამატებითი სამედიცინო გაფრთხილებების და შესაბამისი პიქტოგრამების გამოყენება და

როტაცია „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად. (2.12.2011 N 01-57/6)

**მუხლი 7. ტექნიკური პარამეტრები თამბაქოს ნაწარმის კოლოფებსა და ბლოკებზე განთავსებული სამედიცინო გაფრთხილებები და შემცველობის შესახებ წარწერებისათვის (2.12.2011 N 01-57/6)**

თამბაქოს ნაწარმის კოლოფებსა და ბლოკებზე განთავსებული სამედიცინო გაფრთხილებები და შემცველობის შესახებ წარწერები უნდა აკმაყოფილებდეს „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების მოთხოვნებს და აგრეთვე შემდეგ ტექნიკურ პარამეტრებს:

ა) შესრულებულ უნდა იქნეს ქართულ ენაზე სტანდარტული ფონტით სილფაენი (Sylfaen), ხოლო აფხაზურ ენაზე ფონტით Amra და იყოს გამუქებული;

ბ) ფონტი უნდა იყოს იმ მაქსიმალური ზომის, რათა წარწერამ სრულად დაიკავოს მისთვის გამოყოფილი ფართი, ამასთან არ ეხებოდეს შემომფარგვლელი ხაზების ან პიქტოგრამის კიდეებს;

გ) ქართული და აფხაზური წარწერების ერთდროულად გამოყენების შემთხვევაში ტექსტების ფონტი უნდა იყოს ერთნაირი ზომის;

დ) ინტერვალები და ხაზებს შორის დაშორება უნდა იყოს სტანდარტული;

ე) განლაგება ცენტრალური სწორებით;

ვ) ქართული და აფხაზური წარწერების ერთდროულად გამოყენების შემთხვევაში ქართული ტექსტის მომდევნო ხაზზე განთავსებულ უნდა იქნეს მისი შესაბამისი აფხაზური ტექსტი;

ზ) პიქტოგრამის ნიმუში უნდა შეესაბამებოდეს დამატებითი სამედიცინო გაფრთხილების ტექსტს და არ უნდა იკავებდეს სამედიცინო გაფრთხილების საერთო მოცულობის 50 პროცენტზე ნაკლებს.

თ) პიქტოგრამების გამოყენების შემთხვევაში საკონტაქტო ტელეფონის ნომერი შესაბამისი წარწერით უნდა განლაგდეს პიქტოგრამის იმ მონაკვეთზე შესაბამისი ზომით, დიზაინით და ტექნიკური პარამეტრებით როგორც ეს მითითებულია ელექტრონულ ნიმუშში;

ი) პიქტოგრამების გამოყენებლობის შემთხვევაში საკონტაქტო ტელეფონის ნომერი შესაბამისი წარწერით უნდა განთავსდეს დამატებითი გაფრთხილების წარწერის ქვემოთ 2 ხაზთაშორისი სივრცის ინტერვალის დაშორებით. საკუთრივ ტელეფონის ნომერი - იმავე სახის და ზომის ფონტით, ხოლო თანდართული ტექსტი 2 სტანდარტული ერთეულით ნაკლები ზომის. ხაზების დაშორება და ინტერვალები უნდა იქნეს სტანდარტული. წარწერები და ნომერი გამუქებული, მარჯვენა სწორებით. არ ეხებოდეს გაფრთხილების კიდეებს;

კ) საკონტაქტო ტელეფონის ნომერი შესაბამისი წარწერით უნდა განლაგდეს 2 ხაზზე, რომელგან პირველზე განთავსებულ იქნება ტექსტი „მოწვევის შეწყვეტისთვის დარეკეთ:“, ხოლო მეორეზე „116001“, ზარი უფასოა“.

**მუხლი 8. ტექნიკური პარამეტრების თამბაქოს ნაწარმის კოლოფსა და ბლოკზე განთავსებული პიქტოგრამებისათვის (2.12.2011 N 01-57/6)**

თამბაქოს ნაწარმის კოლოფსა და ბლოკზე განთავსებული პიქტოგრამები უნდა აკმაყოფილებდეს „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4, მე-6 და მე-8 პუნქტების მოთხოვნებს და აგრეთვე შემდეგ ტექნიკურ პარამეტრებს:

ა) პიქტოგრამები დაბეჭდილ უნდა იქნეს ელექტრონული ნიმუშის ორიგინალის შესაბამისად მთლიანად, ყოველგვარი ცვლილების გარეშე პროპორციებში, ფერებში ან/და კომპოზიციაში. თამბაქოს მწარმოებლებსა და/ან იმპორტიორებს ელექტრონული ვერსიების ორიგინალს მოთხოვნის შემთხვევაში გადასცემს სამინისტრო;

ბ) პიქტოგრამის ზედა კიდე განთავსებულ უნდა იქნეს კოლოფის ან ბლოკის ზედა კიდის პარალელურად;

გ) პიქტოგრამის გვერდითი და ქვედა კიდე უნდა ეხებოდეს შემომფარგვლელ ხაზებს;

დ) პიქტოგრამები უნდა დაიბეჭდოს 4 ფერში/-CMYK-/ მინიმუმ 150 ხაზით 2,5 სანტიმეტრზე (ერთ ინჩზე);

ე) უზრუნველყოფილ იქნეს ფერთა თანხვედრა ცდომის გარეშე.

**მუხლი 9. საქართველოში თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის ადგილებში სამედიცინო გაფრთხილების ტექსტი და მათი განთავსების ტექნიკური პარამეტრები**

1. თამბაქოს რეალიზაციის ადგილებში განთავსებულ იქნეს სამედიცინო გაფრთხილებები შემდეგი ტექსტით: „მოწევა კლავს“, „არასრულწლოვანთათვის თამბაქოს ნაწარმის მიყიდვა აკრძალულია“, „მოწევის შეწყვეტისთვის დარეკეთ: 116001, ზარი უფასოა“. (2.12.2011 N 01-57/6)

2. სამედიცინო გაფრთხილების ტექსტი განთავსებულ უნდა იქნეს თამბაქოს რეალიზაციის ადგილებში თვალსაჩინოდ, არანაკლებ A4 ფორმატზე და აკმაყოფილებდეს შემდეგ ტექნიკურ პარამეტრებს:

ა) ტექსტი განთავსებულ უნდა იქნას ერთმანეთისგან განცალკევებით ერთმანეთის მომდევნო ხაზებზე ამ მუხლის პირველ პუნქტში მოცემული თანმიმდევრობით;

ბ) წარწერა შესრულებულ უნდა იქნეს თეთრ ფონზე შავი ასოებით, ან შავ ფონზე თეთრი ასოებით, სტანდარტული ფონტით სილფაენ (Sylfaen) და იყოს გამუქებული;

გ) ფონტი უნდა იყოს მაქსიმალური ზომის, რათა წარწერამ სრულად დაიკავოს მისთვის გამოყოფილი ფართი, ამასთან არ ეხებოდეს ფართის კიდეებს;

დ) ინტერვალები და ხაზებს შორის დაშორება უნდა იყოს სტანდარტული;

ე) განლაგება ცენტრალური სწორებით.

**საქართველოში რეალიზაციისათვის განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმის კოლოფებსა და ბლოკებზე განსათავსებელი ძირითადი და დამატებითი სამედიცინო გაფრთხილებები ქართულ ენაზე**

1. ძირითადი სამედიცინო გაფრთხილებები:

- ა) მოწვევა კლავს;
- ბ) მწვევლები კვდებიან ადრე;
- გ) მოწვევა სერიოზულ ზიანს გაყენებთ თქვენ და თქვენს ირგვლივ მყოფთ.

2. დამატებითი სამედიცინო გაფრთხილებები:

- ა) მოწვევა იწვევს ფილტვის კიბოს;
- ბ) მოწვევა ავიწროვებს სისხლძარღვებს, იწვევს გულის შეტევებს და ინსულტს;
- გ) მოწვევა ორსულობის დროს აზიანებს თქვენს ნაყოფს;
- დ) მოწვევა იწვევს თამბაქოსადმი ძლიერი დამოკიდებულების განვითარებას.

არ დაიწყეთ მოწვევა;

- ე) მოწვევამ შესაძლოა შეასუსტოს სისხლის ნაკადი და გამოიწვიოს იმპოტენცია;
- ვ) მოწვევა მოქმედებს სპერმაზე და შესაძლოა გამოიწვიოს უშვილობა;
- ზ) დაიცავით ბავშვები; ნუ აიძულებთ მათ ისუნთქონ თამბაქოს კვამლი;
- თ) მოწვევამ შეიძლება გამოიწვიოს ნელი და მტანჯველი სიკვდილი;
- ი) მოწვევა იწვევს კანის ნაადრევ დაბერებას.

3. საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და თანდართული წარწერა: (2.12.2011 N 01-57/6)

მოწვევის შეწყვეტისთვის დარეკეთ: 116001, ზარი უფასოა.

დანართი 3

**საქართველოში რეალიზაციისათვის განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმის კოლოფებსა და ბლოკებზე განსათავსებელი ძირითადი და დამატებითი სამედიცინო გაფრთხილებები ქართულ და აფხაზურ ენებზე**

1. ძირითადი სამედიცინო გაფრთხილებები:

- ა) АТАТЫН АХАРА АҮАСЫ I ДАШЬОИТ (მოწვევა კლავს);
- ბ) АТАТЫН ИАХО ЗААНАСЫ ДЫЬСҮЕИТ (მწვევლები კვდებიან ადრე);
- გ) АТАТЫН АХАРА ИШЕПЫРХАГОУР ИАРА УБАС ШАААИГААРА ИКОУ АУААГЬЫ ИРПЫРХАГОУП (მოწვევა სერიოზულ ზიანს გაყენებთ თქვენ და თქვენს ირგვლივ მყოფთ).

2. დამატებითი სამედიცინო გაფრთხილებები:

- ა) АТАТЫН АХАРА АРПХАКААРКЬЫВА ААНАГАР ЛАЛЩИТ (მოწვევა იწვევს ფილტვის კიბოს);
- ბ) АТАТЫН АХАРА АШЬАДАКАА РТШААРЕИ АГЕЫХЬИ АИНСУЛЬТИ ААНАГОИТ (მოწვევა ავიწროვებს სისხლძარღვებს, იწვევს გულის შეტევებს და ინსულტს);



გ) АЦАААТАЫМРА ААН АТАТЫН АХАРА АЦААЛАШАА ИАПЫРХАГОУП (მოწვევა ორსულობის დროს აზიანებს თქვენს ნაყოფს);

დ) АТАТЫН АХАРА АТАТЫН АХЫПШРА БАБАА АЕИАРА ААНАГОИТ. АТАТЫН АХАРА ШААЛАМГАН (მოწვევა იწვევს თამბაქოსადმი ძლიერი დამოკიდებულების განვითარებას. არ დაიწყეთ მოწვევა);

ე) АТАТЫН АХАРА АШЬА АУСУРА ИАПЫРХАГОУП УИ АИМПОТЕНЦИЯ ААНАГАР АЛШОИТ (მოწვევამ შესაძლოა შეასუსტოს სისხლის ნაკადი და გამოიწვიოს იმპოტენცია);

ვ) АТАТЫН АХАРА АВЬАЗ ИАНЫРУЕИТ АТАТЫН ШААХОЗАР АХЕЫЧКАА ШАМОУР КАЛОИТ (მოწვევა მოქმედებს სპერმაზე და შესაძლოა გამოიწვიოს უშვილობა);

ზ) ИШАЫХЬЧА ШАХАЫЧКААЖ УРТ АТАТЫН АЛСА ЛАГАСАРГАРАТАЫ ИКАШАЫМТСАН (დაიცავით ბავშვები; ნუ აიძულებთ მათ ისუნთქონ თამბაქოს კვამლი);

თ) АТАТЫН АХАРА ИССАКЫМ АПОРА ЦАГЬА ААНАГАР АЛШОИТ (მოწვევამ შეიძლება გამოიწვიოს ნელი და მტანჯველი სიკვდილი);

ი) АТАТЫН АХАРА ЗААНАТЦЫ ЩАСАА ПХАСТАНАТАОИТ (მოწვევა იწვევს კანის ნაადრევ დაბერებას).

3. საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და თანდართული წარწერა: (2.12.2011 N 01-57/6)


АТАТЫН АХАРА ШААКАЫСЫРЦ АЗЫ ХАДАЕПСАДА АТЕЛ ШААС 116001 (მოწვევის შეწყვეტისთვის დარეკეთ: 116001, ზარი უფასოა).“

#### დანართი 4 (2.12.2011 N 01-57/6)

დანართი 4

დამატებითი სამედიცინო გაფორმებების და შესაბამისი პოტოგრაფების ნამუშევრის ასლები ქართულ ენაზე შესრულებული წარწერებისათვის

“მოწვევა იწვევს ფილემის კიბოს!”



“მოწვევა აფინჯნებს სისხლძარღვებს, იწვევს გულის შეტევებს და იმსულებს”



„მოწევა ორსულობის დროს ამიანებს იწვევს ნაყოფს“



„მოწევა იწვევს თამბაქოსადმი ძლიერი დამოკიდებულებას განვითარებს. არ დამყოთ მოწევა“



„მოწევა მესამეა შესაბლოა შესაბლოა სისხლის ნაკადი და გამოიწვევს იმპოტენციას“



„მოწევა მოქმედებს სურმაზე და მესამეა გამოიწვევს უხელობა“




„დაცავით ბავშვები: ნუ აიძულებთ მათ ისუნთქონ თამბაქოს კვამლი“



„მონღვამ შეიძლება გამოიწვიოს ნელი და მრანკელი სიკვდილი“



„მონღვა იწვევს კანის ნაადრევ დაბერებას“



დამატებითი სამედიცინო ცადროსობების და შესაბამის პეტოგრაფების ნაშუბის  
ბილეს ქროულ და იფბაზურ ენესე შესრულეული ნარწრებისათვის  
მონევა ინევის დილტვის კბის - АТАТЫН АХАРА АРҢАКААРҢЫҒА  
ААНАГАР ААШЫТ



მონევა აფბროფეს სისბობილეს, ინევის კულის შეევეს და იმულს-  
АТАТЫН АХАРА АШҒА ДАКАА РҢШААРҢ АҢҒЫҒЫ АИНСУЛҒЫ ААНАГОИТ



მონევა ორსულობის დროს ამიანებს თქვენს ნაყოფს - АЦАААТАҒЫМРА ААН  
АТАТЫН АХАРА АЦАААШАА ИАПЫРХАГОУИ



მონევა ინევის თამბაქოსადმი ძლიერი დამოკიდებულების განვითარებას, არ  
დაიწყეთ მონევა -АТАТЫН АХАРА АТАТЫН АХЫПШРА БАБАА АЕНАРА  
ААНАГОИТ. АТАТЫН АХАРА ШААААМҒАН



მონევის შეწვებობისთვის დირეკეო  
АТАТЫН АХАРА ШААКАМСЫРҒ АЗЫ ХАДАЕПСАДА АТЕЛ ШААС:  
116001, ზარი უფახოა

მონეამ შესაძლოა შესუსტოს სისხლის ნაკადი და გამოიწვიოს იმპოტენცია -  
 АТАТН АХАРА АШНА АУСУРА НАИРХАГОУИ УИ АИМПОТЕНЦИА ААНАГАР  
 А.ШОИТ



მონეა მოქმედებს სპერმამდე და შესაძლოა გამოიწვიოს უშვილობა -  
 АТАТН АХАРА  
 АБНАЗ НАИРФУИИТ АТАТНН ШААХОЗАР АХЕНЧКАА ШАМОУР КАЛОИТ



დაივიეთ ბავშვები, რე აიძულებთ შთა იზრდნენ თამბაქოს კვამლი -  
 ИШАИХУЧА ШАХАИЧКААЖ УИТ АТАТН АЛСА ЛАГАСАРГАРАТАМ  
 ИКАШИИМТСАИ



მონეამ შეიძლება გამოიწვიოს წელი და შეანეწველოს სიკვდილი -  
 АТАТН  
 АХАРА ИССАКНМ АНОРА ИАГНА ААНАГАР А.ШОИТ



მონეტა იწვევს კანის ნაადრევ დაბერებას - АТАТМН АХАРА ЗААНАТИМ  
ЩАГАА ПХАСТАНАТАОНТ

